




თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

დimitრი ჯაფარიძე
გეოსაინფორმაციო და ტურიზმის
ტექნოლოგიების ცენტრი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგოლის მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსები



თარგოლის მუნიციპალიტეტი

მთაწარის მუნიციპალიტეტი

მთიანეთის მუნიციპალიტეტი




სარჩევი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა	4
ძირითადი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5
ისტორიული ძეგლები - რელიგიური ტურიზმი.....	5
გოგნის წმინდა გიორგის ამბიონი.....	5
ღვანკითის დედაღვთისა.....	5
ჩხარის წმინდა გიორგის კვლესია.....	6
აღისუბრის წმინდა გიორგის კვლესია	6
თამარის ხიდი.....	7
სკანდის ციხე.....	7
დაცული ტერიტორიები	8
საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი.....	8
წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი.....	8
ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი.....	8
ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი.....	8
სხვა ბუნებრივი ძეგლები.....	9
თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ძეგლების სრული ნუსხა.....	9
საგვარჯილე.....	11
შავწყალას მღვიმე.....	12
ძვერის სტრუქტურული რელიეფი - „იმერეთის ვარძია“.....	13
ქადაგიძის რაფი, დინოზავრის ნაკვალევი.....	13
გოგნის უდაბნო და ელდათი.....	14
აღისუბნის კანიონი.....	15
წყალწითელას კანიონი	15
პანორამა.....	16
ღვინის ტურიზმი.....	17
ღვინის ფესტივალი	17
ღვინის საწარმო	18
მეღვინეობა ხარება.....	18
გიორგი გიორგაძე - მეღვინეობა საზანო.....	19
გიორგი მაკარიძის მარანი	19
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - „თერჯოლის ღვინო“.....	20
ლაშა გურულის საოჯახო მარანი.....	20

ნიკოლაძეების მარანი.....	21
ბარბაქაძის საოჯახო მარანი სოფელ რუფოთში.....	21
სასტუმრო ინფრასტრუქტურა	21
კვების ობიექტები.....	22
კულტურული ტურიზმი	23
მუზეუმები.....	23
დავით კლდიაშვილის მუზეუმი.....	23
გრიგოლ რობაქიძის მუზეუმი	24
შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი	24
ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	25
კურორტი სიმონეთი	25
ქართული ტიპის კავკასიური ნაგაზის ძაღლსაშენი „ტაბაკინი“	26
ტურისტული მარშრუტები	27
ტურისტული მარშრუტი №1.....	27
ტურისტული მარშრუტი #2	27
ტურისტული მარშრუტი №3.....	28
საცხენოსნო ტური - „ხეკეპილი“	28
ველოტურები	29
სპელეოტურიზმი	29
დასკვნა, რეკომენდაციები	30
საოჯახო სასტუმროები	30
აგროტურიზმი	30
კულინარიული და ღვინის ტურიზმი	31
.კულტურული ტურიზმი	32
სათავგადასავლო და სპორტული ტურიზმი.....	32
ეკოტურიზმი	32
სამომავლო მოქმედებების გეგმა	33

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ქალაქი თერჯოლა მდებარეობს ზღვის დონიდან 170 მეტრზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ქვეყნის მთავარი ავტომაგისტრალი. აეროპორტი კოპიტნარი მდებარეობს თერჯოლიდან 45 კილომეტრში. თერჯოლას დასავლეთით ესაზღვრება ქ. ქუთაისი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ზესტაფონის, ჩრდილოეთით ტყიბულის, ჩრდილო-აღმოსავლეთით ჭიათურის და სამხრეთით ბაღდათის მუნიციპალიტეტები. თერჯოლაში 46 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 45 სოფელი. მოსახლეობა შეადგენს 35.1 ათას ადამიანს¹. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ბუჯა, მამარულა, ძუსა, ჩოლაბური, ყვირილა, ჩხარა, ქვერუნა, ბოსელა, ნახშირღელე, ჭიშურა, საბანელა, ძვერულა, წყალწითელა.



¹ საქსტატი, 2017.

ძირითადი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები
ისტორიული ძეგლები - რელიგიური ტურიზმი
გოგნის წმინდა გიორგის ამბიონი



ეს პატარა სალოცავი არის წმინდა გიორგის სახელობის. მას კარი არ აქვს და გადმოცემის თანახმად რამდენჯერაც გაუკეთეს, ყოველ ჯერზე წმინდა გიორგი ისახება და კარი უმალ ვარდება. სწორედ ამიტომ მას „კარუგდებელა“ უწოდეს. ეს სასწაულმოქმედი სალოცავი თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელ გოგნში მდებარეობს და მომლოცველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღეისათვის ამ პატარა სალოცავის მახლობლად შენდება დიდი ტაძარი, რაც საშუალებას მისცემს მრავალრიცხოვან მრევლს დაესწროს წირვა-ლოცვას.

ღვანკითის დედაღვთისა



ეკლესია მდებარეობს სოფელ ღვანკითში. იგი აგებულია სოფლის დასავლეთით, მდინარე ჩოლაბაურის მარჯვენა ნაპირზე 12-ესაუკუნეში. დედალვთისას ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკაა, ნაშენია თლილი ქვისა და კირისაგან. ტაძარი დაზიანებულია ბოლშევიკების მიერ 1924-25 წლებში. 2006-08 წლებში ტაძარს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. სიძველის კვალის შენარჩუნების მიზნით, ტაძარს შიგნიდან არ ჩაუტარდა მოპირკეთებითი სამუშაოები, გაუკეთდა ქვის კანკელი და ქვის იატაკი. ტაძარი გადაიხურა კრამიტით და დღეისათვის მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.


ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესია



სოფელში, მდებარეობს წმინდა გიორგის ეკლესია, სამრეკლოთი და გალავნით, რომელიც ადრე ჩხარის ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარს წარმოადგენდა. ეკლესიის შესახებ ინფორმაცია 17-ე საუკუნიდან გვხვდება. იგი დაზიანდა 20-ე საუკუნის დასაწყისში, ხოლო ხელახლა აშენდა 2003 წელს და საწყისი ნაგებობიდან მხოლოდ სამირკვლის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ალისუბრის წმინდა გიორგის ეკლესია

წმინდა გიორგის ეკლესია სოფელ ზედა ალისუბანში აიგო 1882 წელს. ეკლესია არის ერთნავიანი, დარბაზული ტიპის და შემკულია შვერილი აბსიდებით. კედლები გარედან თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი. ეკლესია მნიშვნელოვნად დაზიანდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. ეკლესიის რესტავრაცია 2000-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ითავეს.



თამარის ხიდი

სოფელ ნაგარევიში, მდ. ჭეშურაზე 1668 წელს აგებულია „თამარის ხიდი“. იგი წარმოადგენს ქვის თაღიან ხიდს, რომელიც დღემდე მოქმედია. ამ ხიდზე გადიოდა ქუთაისი-თბილისის დიდი შარავზა.



სკანდის ციხე



სკანდის ციხე თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი უძველესი და ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც სოფელ სკანდის ჩრდილოეთით, მდებარეობს. ციხე გვიან ანტიკური ხანის თავდაცვითი ძეგლს წარმოადგენდა, რომელიც ააგო ეგრისის სამეფო ხელისუფლებამ მნიშვნელოვან გზაგასაყარზე. იგი აკავშირებდა აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო იმერეთთან და აგრეთვე შავი ზღვისპირეთთან. ციხის ქვის კედლების სტრუქტურა რომაული და ბიზანტიური არქიტექტურის გავლენას განიცდის და გამოირჩევა თავისებური ხუროთმოძღვრული ფორმებით.

ციხის ნანგრევებს 7000 კ.ვ მ. ფართობი უკავია. დღეისათვის ნაწილობრივ შემორჩენილია ცენტრალური ნაგებობა, აღმოსავლეთი კედელი და ეკლესიის ფრაგმენტები, ასევე გვირაბის ნაშთმა. სკანდის ციხე შეიძლება იქცეს მნიშვნელოვანი დაინტერესების ობიექტად ტურისტებისათვის იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება მისი კაპიტალური რესტავრაცია.

დაცული ტერიტორიები

საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი

საკაჟიასოფ. გოდოგანის მიდამოებში, მდ. წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობზე, მოწამეთას მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ-ში მდებარეობს 6 მ-ის სიმაღლის და 30 მ-ის სიგრძის ჰორიზონტალური ფორმის, დახშული, ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური აღმოჩენებით მდიდარი მღვიმეა. პალეოლითის პერიოდის დამადასტურებელი ნიშნები კავკასიაში პირველად აქ დადასტურდა, სადაც მრავლადაა პალეოზოოლოგიური ჩლიქოსნების (დომბა, ირემი, შველი), მტაცებლების (მღვიმური დათვი, მღვიმური ლომი, ფოცხვერიდასხვ.), მღრნელების (წავი, მაჩვ-ზღარბი) მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. ცხოველთა კბილებისა და ძვლების ნატეხების მოპოვებული რაოდენობა რამოდენიმე ათეულ ათასს აღწევს.

წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი

ბუნების ძეგლი წარმოადგენს ულამაზეს კოლხური ტყით დაფარულ, განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეულ მდ. წყალწითელას კანიონისებურ ხეობას. ლეგენდის თანახმად წყალწითელას სახელი ხრესილის ომის დროს დაერქვა, რადგან სისხლისაგან წყალი წითლად შეიღება. სინამდვილეში როცა მდინარე დიდდება, ის წითელი მიწის ქანებს რეცხავს, რომლებიც ოკრიბაში ამ მდინარის გასწვრივ თითქმის ყველგანაა და წყალი წითელ ფერს იღებს. ხეობაში ხმელეთსა და წყალქვეშ სამკურნალო თვისებების მქონე მრავალი მინერალური წყაროა. მდინარეში მრავლადაა კალმახი, წვერა, ჭანარი, მურწა და შამაია. ზამთარში შესაძლებელია წყალმცურავი ფრინველების ნახვა, ძუძუმწოვრებიდან კიტურა, მელა და მაჩვი გვხვდება.

ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი

მღვიმე შედგება ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზებისაგან, რომელიც გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში. მისი წინა ნაწილი ორსართულიანია. კარსტული ძაბრის ფსკერიდან სპირალურად ჩადის ქვევით და შემდეგ 140 მ სიგრძის ვიწრო, ნაკადოვანი გვირაბის ფორმას იღებს. გვხვდება ტერასების ფრაგმენტები. ქიმიური და მექანიკური ნალექები სუსტად არის წარმოდგენილი. განშტოებების შეერთების ადგილზე პატარა ნაკადული ისახება. წვიმების დროს მთლიანად წყლით ივსება.

ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი

განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა. მღვიმე შესასვლელიდან 30-ე მეტრზე ორად იყოფა. მეორე სართული პატარა საფეხურებით დაკავშირებულია დარბაზთან. მღვიმეს გასასვლელი არა აქვს, ამოკეტილია სტალაგნატით, რომლის სისქე 7 მეტრია. ამჟამად მღვიმის მოსაწყობად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.



სხვა ბუნებრივი ძეგლები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ძეგლების სრული ნუსხა

1.	საგვარჯილე	სოფ. ძევერი	გამოქვაბული
2.	ქვევრულას კარსტული მღვიმე	სოფ. ძევერი	მღვიმე
3.	ძევერის სტრუქტურული რელიეფი;	სოფ. ძევერი	გამოქვაბულები და ეხები
4.	შაფწყალას მღვიმე	სოფ. ძევერი	მღვიმე
5.	ქვევრულას სტრუქტურული რელიეფი	სოფ. ძევერი	გამოქვაბულები
6.	სეფარეთის მღვიმე	სოფ. ძევერი	მღვიმე
7.	ქვევრულას მღვიმე	სოფ. ძევერი	მღვიმე
8.	ქვევრულას ხეობა	სოფ. ძევერი და სოფ. გოგნი	ხეობა

9.	უდაბნოს სვეტი	სოფ. გოგნი	კაცხის სვეტის ანალოგი
10.	გოგნის უდაბნო	სოფ. გოგნი	ხეელუხლებელი ტყის ლანდშაფტი
11.	წყალწითელასკანიონი	სოფ. გოდოგანი	კანიონი
12.	იაზონის გამოქვაბული	სოფ. გოდოგანი	გამოქვაბული
13.	საკაჟიას გამოქვაბული	სოფ. გოდოგანი	გამოქვაბული
14.	ჭალასთავი	სოფ. გოდოგანი	მდინარის ხეობა
15.	ალისუბნის კანიონი	სოფ. ალისუბანი, მაჩიტაური	კანიონი
16.	ალისუბნის მღვიმე - „დათვის გამოქვაბული“	სოფ. ალისუბანი, მაჩიტაური	მღვიმე
17.	ქადაგიძის რაფი და დინოზავრის ნაკვალევი;	სოფ. ზედა საზანო	ჩანჩქერი და დინოზავრის 7 ნაფეხური
18.	ქათამაძის ორმო	სოფ. თუზი	მღვიმე
19.	სამჭიკია	სოფ. თუზი, ვარდიგორა	მღვიმე
20.	ნავენახევი	სოფ. ნახშირლელე	მღვიმე
21.	ნაგარევის კარსტული მღვიმე	სოფ. ნაგარევი	მღვიმე
22.	მდინარე ძუსის ხეობა	სოფ. მუჯირეთი	მდინარის ხეობა
23.	ოკრიბა - არგვეთის ქედი	თერჯოლის ჩრდილოეთი მხარე სიგრძე 40კმ.	ქედი

წარმოდგენილი ობიექტებიდან აღსანიშნავია რამოდენიმე ბუნების ძეგლი, რომლებიც საქართველოს დაცული ტერიტორიების ნუსხაში არ არის შეტანილი, თუმცა ტურისტული მიმზიდველობის თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვან რესურსებს განეკუთვნება:

საგვარჯილე

საგვარჯილე (მდებარეობს სოფელ ძეგრში) მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. მის წინ, ხეობის მარჯვენა მხრეს, მრავალი მცირე ზომის კარსტული მღვიმე დაეხია, რომელთა ნაწილს ფეოდალურ ხანაში სამალავებად იყენებდნენ. სტრატეგრაფიულ ჭრილში ფიქსირებულია 12 ფენა; ზედა პალეოლითის, ნეოლითის, ენეოლითის, ადრინდელი ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის. საერთო სიგრძეა 13 მ სტერილური შრეებით ერთმანეთისაგან გამოყოფილი აპალეოლითური ხანის 5 ფენა. ქვედა ფენაში აღმოჩნდა ზედა პალეოლითური ხანის ქვის ნაწარმი, შუა პალეოლითური წვეტანები და სახოკები. მომდევნო 4 ფენა შეიცავდა ზედა პალეოლითის სხვადასხვა საფეხურისათვის დამახასიათებელ ნივთებს (ზღვის ლოკოკინებისაგან დამზადებული ყელსაბამი, გეომეტრული ორნამენტით შემკული ძვლის საკინძი, ტალკისაგან დამზადებული ძვლის საკინძი. ტალკისაგან დამზადებული წერტილოვანი ნაჭდევებით შენკული საკინძი - აგვაროზები, ცხოველთა გახვრეტილი კბილები და სხვა).

ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოსფენებში ნაპოვნია ირმის რქისგან დამზადებული თოხის ნაირი იარაღი, ძვლის ჭვილთი, ანკესი, ნემსები, სადგისები და სხვა. მრავლადაა კაჟის ქვის ნაკეთობანი (სხვადასხვა ტიპის ისრის პირები დაშუბის პირები, ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღი, სამაჯურები, კერამიკული ნაწარმი დასხვა). ენეოლით-ადრინდელი ბრინჯაოს მასალა დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, დანარჩენი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის ვლევის ცენტრში.



შავწყალას მღვიმე

მღვიმე მდებარეობს სოფელ ძეგრში. იგი ცნობილია სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების სილამაზით, მდინარე შავწყალას სიღრმე მღვიმეში 8 მეტრს აღწევს. მღვიმე 25 მეტრის მანძილზეა გამოკვლეული. მღვიმიდან გასასვლელი წყლითაა ამოვსებული.



გამოქვაბულის მოპირდაპირე მხარეს მდ. ძეგრულას მარჯვენა მხარეს, ვერტიკალური მღვიმის გამოსასვლელია. აღნიშნული მღვიმე 80-იანი წლებში დაზვერვითი ექსპედიციის ფარგლებში მოინახულა პოლონელმა სპელეოლოგმა, რომლის ინფორმაციის თანახმად მღვიმე ულამაზესია და დაახლოებით 3 კმ-ის სიგრძის უნდა იყოს. მღვიმე უდაოდ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ტურისტული მიმზიდველობის თვალსაზრისით და საჭიროებს სრულ გამოკვლევას.



მეგრის სტრუქტურული რელიეფი - „იმერეთის ვარძია“


მდინარე მეგრულას ხეობაში კლდეზე ნაკვეთი სხვადასხვა სახის მღვიმეა, რომელიც ვარძიის კლდეში ნაკვეთ ქალაქს მოგვაგონებს, ის ჩაფლულია ულამაზესი ბზის კორომებში. აქ არის კვების ობიექტი. აღნიშნული ტურისტული ადგილი ტურისტებისათვის მიმზიდველია.



ქადაგიძის რაფი, დინოზავრის ნაკვალევი

ქადაგიძის რაფი მდინარე მუსაზე არსებული ჩანჩქერის სახელწოდებაა. მისი ვარდნის სიმაღლე 4 მეტრია. ზაფხულში, როცა წყალი საგრძნობლად იკლებს, აქ ჩანს გამოქვაბული, რომლის სიგრძეც 25 მეტრს აღწევს. ამ ხეობაში კიდევ ერთ ფაუნისტურ საოცრებას ვაწყდებით – აქ დინოზავრის 7 მკაფიოდ გამოხატული ნაფეხურია შემორჩენილი.





გოგნის უდაბნო და ელდათი

გოგნის უდაბნო მდებარეობს სოფელ გოგნის ჩრდილოეთ მხარეს, ზღვის დონიდან 500 – 800 მეტრზე. გამოირჩევა ფლორის მრავალფეროვნებით. მცენარეული საფარი კოლხური ტიპისაა. შემორჩენილია ველური ბუნება და ხელუხლებელი ტყის მასივები. აქ ვხვდებით მცენარეთა იმ სახეობებს, რომლებიც თერჯოლაში არსებული კლიმატური პირობების მსგავს გარემოში იზრდებიან: მუხა, წიფელი, ცაცხვი, წყავი, კოლხური ბზა, ლიანები, ტირიფი, აგრეთვე გავრცელებულია ხის უნიკალური ჯიში უთხოვარი. აქ ვხვდებით მდინარე ქვევრულას ულამაზეს ხეობას, ბუნებრივ ტბებს. საინტერესო იქნება ეკოტურიზმით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

სასურველია შესაბამისი ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე შუამდგომლობის გაწევა გოგნის უდაბნოს დაცული ტერიტორიების ნუსხაში შესატანად.



ალისუბნის კანიონი

ალისუბნის კანიონი მდებარეობს მდინარე ჩხარას სათავეში, სოფელ მაჩიტაურში, ალისუბნის თემის ჩრდილოეთ მხარეს. აქვე მდებარეობს მაჩიტაურის ციხე და კარსტული მღვიმე. კანიონის ხეობაში იზრდება კოლხური ბუჩქნარი, რომელიც მნახველისათვის საინტერესო სანახაობას წარმოადგენს.



წყალწითელას კანიონი

წყალწითელას კანიონი სოფელ გოდოგანის ხიდსა და გელათს შორის მდებარეობს. მდინარე წყალწითელას სათავეს იღებს ნაქერალას ქედის სამხრეთ ფერდობიდან და ერთვის მდინარე ყვირილას. მოწამეთის მონასტრიდან გოდოგანის ხიდამდე წყალწითელა მიედინება ცარცულ კირქვებში. მდინარის ამ ნაწილში შექმნილია ღრმა ხეობა, რომლის სიგრძე 7 კილომეტრს უდრის, ხოლო სიგანე 50 – 150 მეტრია. ხეობის ფერდობები ზოგან ციცაბო და კლდოვანია, რომელიც დაფარულია კოლხური ტიპის ტყით. მოწამეთის სამონასტრო კომპლექსიდან ულამაზესი პანორამა იშლება.



პანორამა

პოპულარობით სარგებლობს ე.წ. „წინწკილის პანორამა“, საიდანაც იმლება ფართო ხედი ქვემო იმერეთის მიმართულებით. აქ საჭიროა სამზეერი ადგილის მოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ამ ობიექტის შეტანას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ტურისტულ მარშრუტებში.



ღვინის ტურიზმი

ღვინის ტურიზმის განსანვითარებლად უდაოდ მნიშვნელოვანი რესურსი არსებობს ადგილზე. დღეის მდგომარეობით ეს მიმართულება ჩანასახოვან სტადიაშია, თუმცა, გადუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არსებული მცირერიცხოვანი საოჯახო მარნები, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ფუნქციონირებენ, ტურისტების ინტერესის ობიექტებს წარმოადგენს.

2017 წლის მარტში უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩატარებულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში პირველად მიიღო მონაწილეობა თერჯოლის მუნიციპალიტეტმა. წარმოდგენილი იქნა თერჯოლის საიმიჯო კლიპი, საინფორმაციო ბუკლეტები და სუვენირები. გამოფენაზე გოგიტა მაკარიძისა და ლაშა გურულის საოჯახო მარნები წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს ტურისტული კომპანიების სექციაში. მათ მიერ დამზადებულმა საუკეთესო ღვინოებმა დამთვალიერებელთა ინტერესი გამოიწვია. ასევე ტურისტული სააგენტოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გამოფენაზე თერჯოლის კუთხემ.

ღვინის ფესტივალი

ღვინის ტურიზმის პოპულარიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად შემოდგომაზე ორგანიზებული ღვინის ფესტივალი. ფესტივალზე მრავალრიცხოვანი სტუმარი დეტალურად ეცნობა თერჯოლის სოფლებში დამზადებულ ღვინოებს და მათი დამზადების წესს.





როგორც წინასწარი ანალიზი ცხადყოფს, ღვინის ტურიზმი ერთერთ ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, რომელიც როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალური ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს ადგილობრივი რესურსების გამოყენებისა და კონკურენტული მომსახურების ჩამოყალიბების შედეგად. აღნიშნულის მისაღწევად საჭირო იქნება ღვინის ტურიზმის არსებული მცირერიცხოვან საწარმოთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებისა და მათი სპეციალიზაციის ხელშეწყობის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით ადგილზე წარმოდგენილია ერთი მსხვილი ინდუსტრიული საწარმო და რამოდენიმე მცირე ზომის ღვინის მარანი, რაც მხოლოდ ჩანასახოვანი სტადიის მაჩვენებელია ამ მიმართებით.

ღვინის საწარმო

მელვინეობა ხარება



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარებს ღვინის მწარმოებელი კომპანია „მელვინეობა ხარება“. საწარმო აწარმოებს მაღალი ხარისხის ღვინოებს როგორც უახლესი ტექნოლოგიების, ასევე ტრადიციული მეთოდით. ღვინოების წარმოება ხდება როგორც აღნიშნულ საწარმოში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, კერძოდ, კახეთში, რაჭასა და ლეჩხუმში. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის 205-ე კილომეტრზე ფუნქციონირებს საწარმოს ღვინის ქარხანა და ღვინის მაღაზია. იწარმოება როგორც ევროპული ტიპის, ასევე ქვევრისა და ცქრიალა ღვინოები. საწარმო ტურისტებს თავაზობს საინტერესო ღვინის ტურებს.

გიორგი გიორგაძე - მეღვინეობა საზანო



საწარმო ძირითად ჯიშად იყენებს ციცქას, ასევე მცირე რაოდენობით ცოლიკოურსა და კრახუნას. მიმდინარეობს ოცხანურის საფერეს და ციცქას ვენახების გაშენება, ასევე იშვიათი და მაღალხარისხოვანი იმერული საღვინე ჯიშის - კაპისტონის ნერგების გამოყვანა. ციცქას, ცოლიკოურისა და საფერეს ღვინოების დაყენება ძირითადად მიმდინარეობს ევროპული წესით.

სოფელ საზანოში მდებარე ამ მარნის ხშირი სტუმრებია მრავალრიცხოვანი ტურისტული ჯგუფები და ღვინის მოყვარულები, რომლებიც იძენენ ღვინოს და აგრეთვე ხშირ შემთხვევაში საკუთარი ხელით ასხამენ, ბეჭდავენ და აკრავენ ეტიკეტს ღვინოს.

გიორგი მაკარიძის მარანი



გიორგი მაკარიძის მარანი სთავზობს თერჯოლის სტუმრებს ქვევრის ღვინოს და იმერულ ტრადიციულ სამზარეულოს. ეს არის საოჯახო ტიპის მარანი, სადაც შესაძლებელია ქვევრის ღვინოების, ციცქას, ოცხანურის საფერეს, ცოლიკოურისა და ალადასტურის დაგემოვნება ნატურალურ სასოფლო პროდუქტთან ერთად. 10 წევრისგან შემდგარი კოოპერატივის მფლობელობაშია 5 ჰა მიწის ფართობი, სადაც ორგანული ღვინოები მზადდება. საწარმომ მოიპოვა ევროკავშირის პროექტის დაფინანსება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - „თერჯოლის ღვინო“



თერჯოლის ღვინო ცოტა ხნის წინ დარეგისტრირებული კოოპერატივებია და აერთიანებს 10 წევრს. იმერეთის რეგიონს, როგორც წესი, მცირე ფართობის ვენახები ახასიათებს. სწორედ არნიშნულმა განაპირობა მევენახეების კოოპერატივებად გაერთიანება. კოოპერატივების საკუთრებაში, ცალკეული ვენახების გარდა, არის თითო მარანი, სადაც ისინი მოსავალს ამუშავებენ, ღვინოს ბოთლებში ასხამენ და ეტიკეტირების პროცესს წარმართავენ. კოოპერატივებმა მარნების კეთილმოწყობა დაასრულეს და ისინი უკვე მასპინძლობენ ტურისტებს.

ლაშა გურულის საოჯახო მარანი

საწარმოს ვენახები გაშენებულია სოფელ ახალთერჯოლაში. ვენახების მოვლა წარმოებს ტრადიციული მეთოდებით. 2015 წელს ციციქას და ცოლიკაურის ერთობლივად დაწურვის და დაღვინების შედეგად ევროპული წესით დაყენებულია ღვინო „ენკენი“. ეს არის ტრადიციული საოჯახო საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს რამოდენიმე თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე.

2015 წლის მოსავლის ღვინო „ენკენი“ შერჩეული იქნა საქართველოს მასშტაბით საოჯახო მარნების ასეულში ღვინის კლუბის მიერ და წარდგენილი იყო 2016 წლის მაისში ახალი ღვინის ფესტივალზე. წარდგენილი იყო ასევე 2016 წლის დეკემბერში ღვინის ტურიზმის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ „ბულბულიმარკეტზე“.

სახელწოდება „ენკენი“ ატარებს ორ სიმბოლურ დატვირთვას. პირველყოვლისა წარმომდგარია სიტყვისგან „ენკენისთვე“, რაც არის სექტემბრისთვის ძველი დასახელება, რომელ თვეშიც საქართველოს უმეტეს კუთხეში იწყება რთველი, შესაბამისად, სიმბოლურად რთველი და სექტემბრისთვე ინარჩუნებენ ურთიერთკავშირს.

მეორე სიმბოლური დატვირთვა უშუალოდ სოფელ ახალთერჯოლას და ამ სოფლის მივიწყებულ ტრადიციას უკავშირდება. ყოველწლიურად, ენკენისთვის მიწურულს, 26 სექტემბერს სოფელში აღინიშნებოდა საერო დღესასწაული „ენკენობა“, რაც სწორედ რთველის დაწყებას დაპირითადი საშემოდგომო სამუშაოების დასრულებას, ჭირნახულის მოწევა-დაბინავებას უკავშირდებოდა.

შესაბამისად, აღნიშნული ტრადიციის აღორძინება კარგი საშუალება იქნება ტურისტების მოსაზიდად და მათთვის სოფლის ცხოვრების ერთერთ ყველაზე ღირშესანიშნავ მოვლენაში მონაწილეობის საშუალების მისაღებად.



ნიკოლაძეების მარანი

მარანი მდებარეობს სოფელ ნახშირდელეში, აქვეა გაშენებული ვენახი, ნიკოლაძეების უბანში. მოყავთ ციცქა და ცოლიკოური. ნიკოლაძეების მარნის ღვინოები დაყენებულია ქვევრებში, ნატურალური მევენახეობა მეღვინეობის წესების სრული დაცვით, ძირითადად - იმერული ტექნოლოგიით.

ბარბაქაძის საოჯახო მარანი სოფელ რუფოთში

მარანი მცირე ზომის საოჯახო მეურნეობას წარმოადგენს, რომელი ტურისტების ინტერესს აღძრავს გლეხური მეურნეობის ხასიათისა და ცხოვრების წესის გაცნობის თვალსაზრისით.



სასტუმრო ინფრასტრუქტურა

დღეისათვის მუნიციპალიტეტში 20 საოჯახო ტიპის სასტუმროა.

მუნიციპალიტეტში საწოლების საერთო რაოდენობა აღწევს 200-ს.



ასევე არის 1 სასტუმრო - „სიმონეთი“, რომელიც მდებარეობს თბილისი-ქუთაისის გზატკეცილზე თერჯოლის რ-ნ სოფ. ქვედა სიმონეთის ტერიტორიაზე მდ. ყვირილას განაპირას, თბილისიდან 213 კმ-ზე, ხოლო ქუთაისიდან 12 კმ-ში. სასტუმროში ფუნქციონირებს 12 ნომერი.



კვების ობიექტები

კვების ობიექტებიდან ფუნქციონირებს ძირითადად რესტორნები, რომელთა რიცხვი 10-მდეა: ყირამალა, მამაკაპური, იმერული დუქანი, სიმონეთი, ფიჭვები, ბზები, ძევერი, ჯოკონდა, კოდალა. რესტორნებში წარმოდგენილია როგორც ტრადიციული ქართული, ასევე ევროპული სამზარეულო.



კულტურული ტურიზმი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის მომსახურება უნდა მოიცავდეს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ადგილზე საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული ტურის მიმზიდველობა მთლიანად იქნება დამოკიდებული საჩვენებელი ობიექტის ფასეულობასა და იმ იმფრასტრუქტურაზე, რაც საჩვენებელი ძეგლების ირგვლივ არის მოწყობილი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარება დაეფუძნება ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ფასეულობებსა და მათ ირგვლივ მოწყობილ ინფრასტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლია, მათი უმრავლესობა არ არის იმ კონდინციაში, რომ ტურისტული ჯგუფებისათვის საინტერესო აღმოჩნდეს. შესაბამისად, ისინი საჭიროებენ აღდგენა-განახლებას, რათა დამთვალიერებლებისათვის შეიძინონ მიმზიდველობა.

კულტურული ტურიზმის მომსახურების მიწოდება ტურისტებისათვის ასევე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მეშვეობით.

მუზეუმები

დავით კლდიაშვილის მუზეუმი

ქართველი მწერლისა და დრამატურგის დავით კლდიაშვილის (1893-1931) და მისი ვაჟის, მწერლის სერგო კლდიაშვილის (1893-1986) სახლ-მუზეუმში მდებარეობს სოფელ ზედა-სიმონეთში. მუზეუმში დაცულია მამა-შვილის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: ავეჯი, ხელნაწერები, სამოსი, ჭურჭელი, სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, ფოტო და დოკუმენტური მასალა.



გრიგოლ რობაქიძის მუზეუმი

სოფელ ძევერში გახსნილია მწერალ გრიგოლ რობაქიძის სახლ-მუზეუმი.

შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი

1988 წელს სოფელ ჩხარში დაარსდა შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი. მუზეუმში დაცულია 340 ექსპონანტი. ექსპონანტები არწერენ ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის შალვა ამირანაშვილისა და ქართველი საოპერო მომღერლის პეტრე ამირანაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოვლენებს. დაცული ექსპონანტები მოიცავს ავეჯს, ხელნაწერებს, აფიშებს, სანოტო ჩანაწერებს, მოსაწვევებს, ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, ჭურჭელს, სამეცნიერო ნაშრომების ასლებს, მუზეუმში აგრეთვე დაცულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და ნუმიზმატიკის ნიმუშები.

მუზეუმის დამტვალიერებელთა რაოდენობა წლის განმავლობაში მცირეა და არ აღემატება 120-ს. რეკომენდირებულია, რომ მუზეუმის დათვალიერება შეტანილ იქნეს ადგილობრივ ტურისტულ მარშრუტებში.



ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარმოდგენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები. მათი პერიოდიზაცია იწყება პალეოლითიდან და მოიცავს ქვის, ბრინჯაოს, რკინის, ანტიკურ და ფეოდალურ ხანას. მუზეუმში დაცულია ძველი წელთაღრიცხვის მასალა. კერძოდ, ანტიკული ხანის ორნამენტებიანი ჭურჭელი და კერამიკული ნაწარმი, მინის ჭურჭელი, ნუმიზმატიკა, სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული ნივთები.



კურორტი სიმონეთი

სოფელ სიმონეთში მრავლადაა ხვადასხვა სახის სამკურნალო წყალი. აღნიშნული წყლები გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელ ორგანოთა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებების სამკურნალოდ.

სიმონეთის აბანოებში წყლის ტემპერატურა 46 C⁰ აღწევს. აქვე მიწიდან ამოდის მინერალური წყალი, რომელიც თავის სამკურნალო თვისებებით განსხვავებულია სამკურნალო აბანოებისაგან, ეს უკანასკნელი სამკურნალო სასმელი წყალია გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებათა სამკურნალოდ. მისი ტემპერატურა 36 C⁰ აღწევს.



ქართული ტიპის კავკასიური ნაგაზის ძაღლსაშენი „ტაბაკინი“

1992 წელს ტაბაკინის წმიდა გიორგის მონასტრის ძმობამ დააფუძნეს ძაღლსაშენი „ტაბაკინი“, რომელიც თბილისი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 206 კმ-ზე, თერჯოლის ტერიტორიაზე მდებარეობს. ძაღლსაშენი ეწევა ქართული ტიპის კავკასიური ნაგაზის მოშენებას და პოპულარიზაციას. ძაღლსაშენ „ტაბაკინში“ 20 წლის განმავლობაში მრავალი საუკეთესო ინდივიდი გამოვზარდეთ. ძაღლსაშენმა კავშირები დაამყარა რუსეთისა და საქართველოს ცნობილ ძაღლსაშენებთან. ძაღლები წარმატებით მონაწილეობენ კავკასიისა და ევროპის გამოფენებზე, რომელთა დაგვირგვინება იყო 2010 წლის მაისში, კიევში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, რომელშიც მონაწილეობდა 16 ქვეყანა, ჩემპიონატზე მონასტრის ძაღლსაშენის ხვადმა, სახელად ბუთუქუნამ, 160 ჯიშის 4 000 ძაღლს შორის გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონი გახდა.




დაგეგმილია ძაღლსაშენთან ერთად ასევე სხვა ფუნქციის განვითარებაც. კერძოდ, მარნის, სატრაპეზოს, თონის, ფაცხის, წისქვილისა და ნალიის მშენებლობა, რაც ადგილზე ფუნქციურად დატვირთულ ეთნოგრაფიულ ცენტრს ჩამოაყალიბებს. აღნიშნული ობიექტი შეიძლება ერთ-ერთ ტურისტულ მიზიდველობად ჩამოყალიბდეს და შესაძლებელი გახადოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსხვავებული ტურისტული მომსახურების მიწოდება.

ტურისტული მარშრუტები

დღეის მდგომარეობით შემუშავებულია რამოდენიმე მარშრუტი, რომლებიც მოიცავენ ისტორიულ, კულტურულ და ბუნების ძეგლებს.

ტურისტული მარშრუტი №1

ქალაქი ქუთაისი – წყალწითელას კანიონი „იაზონის გამოქვაბული“ – სოფელი გოდოგანი თამარის თალიანი ხიდი (ბროლისქედი) – სოფელი ნაგარევი ჩრდილო განაპირა მხარეს გვიანი შუა საუკუნეების კოშკი – ჭიშურის ხეობა – ნავენახევის მღვიმე (სოფელი ნახშირღელე) – დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი (სოფელი სიმონეთი) – სიმონეთის დედათა მონასტერი – ეწრის ქართული ტიპის კავკასიური ნაგაზის ძაღლსაშენი – მეღვინეობა „ხარება“ – ღვანკითის ღვთისმშობლის ტაძარი – ქალაქი თერჯოლა – სოფელი ჩხარი ოქონას მთა – სოფელ ჩხარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და არქიტექტურული კომპლექსი – ოქონას მთაზე არსებული მაცხოვრის და საკვირაოს სალოცავი – ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი –შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლ-მუზეუმი.



ტურისტული მარშრუტი #2

ქალაქი თერჯოლა - გრიგოლ რობაქიძის მუზეუმი – მდინარე ძეგრულას ხეობა და პანორამები– სოფელ ძეგრის სტრუქტურული რელიეფი – შავწყალას მღვიმე – ძეგრულ ჰესის მიმდებარე ტერიტორია – საგვარჯილეს გამოქვაბული– 3 კილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკი გოგნის წმინდა გიორგის სალოცავამდე – გოგნის წმინდა გიორგის სალოცავი "კარუგდებელი"– გოგნის უდაბნოს ხელუხლებელი ლანდშაფტი – უდაბნოს სვეტი – გოგნის სასახლე – გოგნის სიწმინდეები — სოფელი გოგნი მაცხოვრის ეკლესია – გოგნის ღვთის მშობლის მიძინების ეკლესია – სოფელ გოგნში ბერების მონასტერი – გოგნის უდაბნო – ალისუბნის კანიონის ჩანჩქერი– ქაჩალას ეკლესია – სკანდას ციხე – ქადაგიძის რაფი – ძუსას ხეობა – დინოზავრის ნაკვალევი – ქალაქი თერჯოლა.

ტურისტული მარშრუტი №3

ძველი აბრეშუმის გზა – ქალაქი ქუთაისი – მოწამეთას მონასტერი – წყალწითელას კანიონი – სოფელი გოდოგანი –საკაჭიას მღვიმე – თამარის თაღიანი ხიდი – სოფელი ნაგარევი ჩრდილო განაპირა მხარეს გვიანი შუა საუკუნეების კოშკი – მდინარე ჭიშურა – ჭალასთავი – ნავენახევის მღვიმე – დავით და სერგო კლდიაშვილების სახლ-მუზეუმი – სოფელ ძეგრის სტრუქტურული რელიეფი – საგვარჯილეს გამოქვაბული – 3 კილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკი გოგნის წმინდა გიორგის სალოცავამდე – ძეგრულჰესის მიმდებარე ტერიტორია – შავწყალას მღვიმე – მდინარე ძეგრულაზე წყლის წისქვილი – ქვევრულის ხეობა – სოფელი ჩხარი – სოფელ ჩხარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და არქიტექტურული კომპლექსი – ჩხარის ორღარის წყარო – ოქონას მთაზე არსებული მაცხოვრის და საკვირაოს სალოცავი – ალისუბნის კანიონი და ჩანჩქერი მდინარე ჩხარაზე – ქაჩალას ეკლესია – მაჩიტაურის ციხე – ჩიხორის კოშკი – სკანდას ციხე – მდინარე ძუსაზე ჩანჩქერი – დინოზავრის ნაკვალევი – ქადაგიძის რაფი – სამჭიკიის გამოქვაბული სოფელი თუზი – ჩიხორის კოშკი – ქათამაძის ორმო კარსტული მღვიმე – კაცხის სვეტი.

საცხენოსნო ტური - „ხეკეპილი“

სოფელ გოგნთან, თერჯოლიდან 10 კმ-ში ადგილ „ხეკეპილზე“, ადგილობრივ მკვიდრ ბორია აბჟანდაძის მიერ ულამაზეს ხელუხლებელ ტყის მასივებში ორგანიზებულია საცხენოსნო ტურები, სადაც მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების 80 პროცენტი ტუმრობს. სტუმარზე. ერთდროულად ტურისტებს 10 ცხენით გასეირნება შეუძლიათ. ამჟამად მცირე საოჯახო მეურნეობა მოიცავს ცხენებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და თხას. აქ ტურისტებს უმასპინძლებიან ტრადიციული ქართული სამზარეულოთი და აგრეთვე არის მოსასვენებელი 6 ადამიანზე. „ხეკეპილზე“ შენდება 20 ადგილიანი ტურისტული განთავსების ობიექტი. დღეისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში „ხეკეპილი“ წარმოადგენს ლიდერ ობიექტს ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით.



ველოტურები



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგი შესაძლებლობებია ველომოცვარული ტურისტების მოსაზიდად. მიმდინარე ეტაპზე ეს რესურსები პრაქტიკულად აუთვისებელია. სამთო-ველოსპორტის ორგანიზება დაწყებულია ტერჯოლის ველომოცვარულთა კლუბისა და თერჯოლის ტურიზმის განყოფილების თანამშრომლობის საფუძველზე. ადგილობრივი რესურსების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას ისახავს მიზნად მდინარე ქვევრულას ხეობაში ორგანიზებული შეჯიბრი სამთო ველოსპორტში. ხსენებული მარშრუტი 2.4 კმ სიგრძისაა და საშუალო სირთულის ელემენტებს შეიცავს.

სამთო ველოტურებისა და მარშრუტების ორგანიზება საჭირო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასთან ერთად გაზრდის ადგილობრივი ტურისტული რესურსის კონკურენტუნარიანობას და ტურისტული პროდუქტის დივერსიფიცირების საშუალებას წარმოქმნის.

სპელეოტურიზმი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არის წარმოდგენილი საინტერესო მღვიმეები, რაც საშუალებას იძლევა უახლოეს მომავალში განვითარდეს სპელეოტურიზმის მიმართულება. დღეის მდგომარეობით აღნიშნული საქმიანობა მხოლოდ გამოწვევის, სამოყვარულო ხასიათს ატარებს და შესაბამისად, სტაბილური სერვისების მიწოდება ამ მიმართულებით არ დაწყებულია. სამომავლოდ საჭირო იქნება სპელეოტურიზმის სრული სპექტრის მოცვა. კერძოდ, ექსტრემალური და სანახაობრივი სპელეოტურიზმისა და სპელეოთერაპიის სერვისების ორგანიზება, რაც პროდუქტის დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს ტურისტების განსხვავებული სეგმენტების მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

დასკვნა, რეკომენდაციები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების ანალიზის შედეგად იკვეთება ხელსაყრელი წინაპირობები ადგილზე აქტიური ტურისტული საქმიანობის ორგანიზებისათვის. რესურსების მრავალფეროვნება და სტუმარ-მასპინძლობის მდიდარი ტრადიციები განაპირობებს ტურისტული სექტორის პერსპექტივას, როგორც ადგილობრივი განვითარების აღმძრავ ხელშემწყობ ფაქტორად ჩამოყალიბებას და მისი მეშვეობით მომავალში დაჩქარებული სოციალური და ეკონომიკური წინსვლის მიღწევას. თუმცა, ამგვარი პროგრესის დასაწყებად აუცილებელია უახლოეს მომავალში როგორც ზოგადი ინფრასტრუქტურული, ასევე სტრატეგიული და ტაქტიკური ღონისძიებების გატარება, რათა არსებული რესურსი მოყვანილ იქნას მოქმედებაში და ტურისტული აქტივობის შედეგად ადგილობრივმა ეკონომიკამ მიიღოს მაქსიმალური პირდაპირი თუ ირიბი ეფექტები.

შესაბამისად, წინამდებარე კვლევის შედეგად ყალიბდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტურისტული აქტივობების დაგეგმვისა და ზრდისათვის აუცილებელი შემდეგი პრიორიტეტები:

საოჯახო სასტუმროები

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირდება მოთხოვნის ზრდა საოჯახო სასტუმროებზე. აღნიშნული კი განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: როგორც საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე, ასევე საქართველოში შესამჩნევია ტურისტების ინტერესის ზრდა ურბანულ გარემოს ფარგლებს გარეთ დასვენებაზე. ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე, ლამაზი ლანდშაფტების გარემოში დასვენება და ეკოლოგიური პროდუქტით კვება სულ უფრო მოთხოვნადი პროდუქტია. აღნიშნულ ტენდენციას აძლიერებს სოფლად, ფერმერულ ოჯახებში სტუმრობის სურვილი, რათა სტუმარმა შეიგრძნოს მასპინძლობის თბილი გარემო და ახლოს გაეცნოს ადგილობრივ ტრადიციებს.

მიუხედავად საოჯახო სასტუმროებში განთავსებაზე დაფიქსირებული ზრდადი ტენდენციებისა, ამ სახის მომსახურებას მნიშვნელოვნად აფერხებს მუნიციპალიტეტში მოქმედ საოჯახო სასტუმროებში მომსახურების დაბალი დონე, რაც ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაციით არის განპირობებული. შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევით საჭირო მომავალ წლებში, რათა ადგილობრივი კადრების მომსახურებისა და მომხმარებლებთან ურთიერთობის დონე ამაღლდეს. ვინაიდან საოჯახო სასტუმროებს თავად არ შესწევთ უნარი ამ საკითხის გადასაწყვეტად

აგროტურიზმი

სწორედ აგროტურიზმის ფართო შესაძლებლობები გააჩნია თერჯოლის მუნიციპალიტეტს, რომლის რეალიზაცია სტრატეგიული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კატეგორიას განეკუთვნება. ადგილობრივი საოჯახო სასტუმროში გაწეული მომსახურება, მყუდრო გარემო, ხელუხლებელი ბუნება, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მიმზიდველობა და ბუნებრივი საკვები პროდუქტის სიუხვე აღნიშნული სეგმენტის ტურისტების მოზიდვის გარანტიაა. შესაბამისად:

- მუნიციპალიტეტის ფარგლებში შესაძლებელია კონკურენტუნარიანი აგროტურისტული პროდუქტის შეთავაზება. აღნიშნული მომსახურება შესაძლებელია იყოს იაფი. ამგვარი პროდუქტის შეთავაზების ძირითადი არგუმენტია ტურისტების მოზიდვა თუმცა შედარებით ნაკლებად კომფორტულ გარემოში, მაგრამ იაფად და რაც მთავარია, სასიამოვნო და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენება.

- ამგვარი კატეგორიის ტურისტების მოსაზიდად ადგილზე არსებობს აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების წინაპირობები, კერძოდ, ლამაზი ბუნება, ტყეები, მდინარეები, მიმზიდველი ლანდშაფტები, ა.შ. ისტორიული ძეგლებისა და სახის ღირშესანიშნაობების არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ამ ადგილებს.
- ტურისტულ ფირმებთან სამუშოდ და ტურისტების მოსაზიდად ადგილობრივი გლეხური მეურნეობები და საოჯახო სასტუმროები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდნენ სანიტარულ-ჰიგიენურ და მინიმალური კომფორტის მოთხოვნებს. კერძოდ, ოჯახში კვების საშუალება, იზოლირებული საძინებლები, საშხაპე, ტუალეტი, ა.შ. ამგვარი სტანდარტის დაკმაყოფილება მოითხოვს გარკვეულ ინვესტიციებს, რც ხშირად აღემატება სოფლად მცხოვრებთა შესაძლებლობებს. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია მცირე საოჯახო სასტუმროების ხელმისაწვდომობა სპეციალურ სახელმწიფო პროგრამებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს მოიპოვონ საწყისი ხარჯების გასაწევი დაფინანსება იაფად და აგრევე მიიღონ აუცილებელი კონსულტაციები.
- ასევე მნიშვნელოვანია სარეკლამო დახმარების საოჯახო სასტუმროებისა თუ ფერმერული მეურნეობებისათვის, რათა ტურისტები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი მასპინძლის კარმიდამოს ამსახველი ვიზუალური მასალით და ასევე ინფორმაციით ადგილობრივი გარემოს, ტრადიციებისა და მასპინძლობის თაობაზე. ასეთი ღონისძიებების შედეგად გაიზრდება როგორც განთავსების ობიექტების, ასევე მარშრუტების ცნობადობა.

კულინარიული და ღვინის ტურიზმი

ეს არის სფერო, სადაც ტურისტების ინტერესი მუდმივად იზრდება. თერჯოლის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია კულინარიული და ღვინის ტურიზმის განსაზღვრებლად. ზოგადად ქართული და კონკრეტულად იმერული სამზარეულო, კერძების მრავალფეროვნება წარმოადგენს ტურისტების დაინტერესების საგანს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტებში ადგილობრივი კერძების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნული სახის მომსახურების პერსპექტიულობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ტურისტების დაინტერესება ქართული ღვინით. ადგილზე მოქმედი საოჯახო ღვინის მარნები, მიუხედავად მათი მცირე მოცულობებისა და ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში ყოფნისა, სტუმრების განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევენ. შესაბამისად, უახლოესი წლების სტრატეგიულ ამოცანად ყალიბდება ადგილობრივი საოჯახო მეურნეობებისათვის საფინანსო და მარკეტინგული დახმარების აღმოჩენა, რათა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი საოჯახო მარნებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბება. ასევე აუცილებელია იმ ტურ-ოპერატორების შერჩევა, ვინ გასტრონომიულ ტურიზმზე სპეციალდებიან და ქმნიან სპეციალურ ტურებს ამ მიმართულებით. მათი რიცხვი საქართველოში კი ძალზედ მცირეა.

ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს კულინარიული და ღვინის ტურიზმის ადგილობრივი შესაძლებლობების წარმოდგენა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე. როგორც 2017 წლის მარტში კიევში ჩატარებულმა საერთაშორისო გამოფენამ გვიჩვენა, თერჯოლის ტურისტული პოტენციალის დემონსტრირებას მაღალი

დაინტერესება მოჰყვა და შესაბამისად, ამგვარი ღონისძიებები საუკეთესო საშუალებაა პოტენციური ტურისტული ნაკადების დასაინტერესებლად.

კულტურული ტურიზმი

კულტურული ტურიზმი ზოგადად მზარდი პოპულარობით სარგებლობს და მას განვითარების კარგი პერსპექტივები გააჩნია თერჯოლის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივი ტრადიციები, ხალხური ხელოვნება, ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა, ისტორიული ღირშესანიშნაობების სიმრავლე, ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ადგილზე კულტურული ტურიზმის საიმედო პერსპექტივას. სულიერი და მატერიალური კულტურის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სამი მუზეუმის არსებობა, რაც ადგილზე გაწეული ტურისტული მომსახურების დივერსიფიცირებას შეუწყობს ხელს.

სამომავლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივ სახალხო დღესასწაულებზე ტურისტული ჯგუფების დასწრებას, რითაც ნათელი წარმოდგენა შეექმნებათ მათ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და ტრადიციებზე და რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის ტურისტული ადგილების მიმზიდველობას.

სათავგადასავლო და სპორტული ტურიზმი

დღეისათვის საერთაშორისო ბაზრებზე ფიქსირდება მოთხოვნის ზრდა მსუბუქი სათავგადასავლო ექსკურსიებზე, რომლების ნაკლები რისკით ხასიათდება და არ საჭიროებს ტურისტის სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას. მათი მთავარი მოტივაცია ამ შემთხვევაში არის ბუნებაში მოგზაურობა კონკრეტული აქტიური ფიზიკური ჩართულობის მიზნით, ხოლო საშუალო მოგზაურობის ხანგრძლივობა შეადგენს 2 – 4 დღეს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დაცული ტერიტორიები და ლანდშაფტების ნაირსახეობა, როგორებიცაა კლდეები, მდინარეები, გამოქვაბულები, ტყეები ა.შ., საშუალებას იძლევა ამგვარი სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. კერძოდ:

- ლაშქრობა
- თრექინგი
- ველოსიპედებით მოგზაურობა
- გამოქვაბულებში ლაშქრობა
- ცხენოსნობა

თერჯოლას ასევე გააჩნია ძალიან კარგი პირობები, რომ მსუბუქ სათავგადასავლო მიმართულებასთან ერთად განავითაროს ტურისტული მიმართულება, რომელიც სპეციალიზირებული იქნება ექსტრემალური და სათავგადასავლო სპორტის მიმართულებით: კლდეზე ცოცვა, ექსტრემალური სპელეოტურიზმი, ველოსიპედით დაშვება, საკანიონე სახეობები, პეინტბოლი, დელტაპლანით და პარაპლანით ფრენა, ა.შ. ამ აქტივობების სხვადასხვა კომბინაცია შეიძლება შეთავაზებულ იქნას სპეციფიკური ინტერესების მქონე ტურისტებისთვის. ამგვარად, ტურისტებს საშუალება უნდა მიეცეთ მათი სურვილის შესაბამისად მომინჯონ ძალები სხვადასხვა ხასიათის აქტივობებში.

ეკოტურიზმი

მთლიანობაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორის რესურსით გამოირჩევა. ადგილზე არსებული ეკოსისტემის მრავალფეროვნება, ლამაზი ბუნება და პეიზაჟები ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის სახარბიელო პირობებს ქმნის. ტურიზმის ამ

დარგის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება ადგილზე დაცული ტერიტორიების არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნების ძეგლები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს რესურსს ეკოტურიზმის განვითარებისათვის. თუმცა, ეკოტურიზმის სპეციფიკა მოითხოვს ტურისტული მარშრუტების ზუსტ ფორმირებას და ტურისტული ჯგუფების მომსახურების მაღალ ხარისხს, ასევე საგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირებასაც ამგვარ ტურებში. ეს საკითხები კი ცალსახად გასაუმჯობესებელია ადგილზე.

ეკოტურისტული მომსახურების ორგანიზება პირველ რიგში საჭირო ინფორმაციის მომზადებას საჭიროებს ბროშურების, სქემების, რუკების, ასევე მონიშნული ბილიკების, სპეციალური სამეთვალყურეო შენობების სახით, ა.შ.

მთლიანობაში, მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის ჯეროვანი მომსახურების ორგანიზებისათვის აუცილებელი იქნება ისეთი ტექნიკური საკითხების გადაჭრა, როგორებიცაა: საკმარისი ეკოლოგიური კვალიფიკაციის მქონე გიდები, ტურისტებისათვის სპეციალური აღჭურვილობები, განთავსების საშუალებები და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვების ორგანიზება, ა.შ. ასევე საგრძნობია ტურისტულ-საინფორმაციო დაფებისა და მანიშნებლების სიმცირე.

ამგვარად, ეკოლოგიური ტურიზმის პოტენციალის ათვისება ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევის საშუალებაა. მან შეძლება ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომგებიან ბიზნესად ჩამოყალიბებას.

სამომავლო მოქმედებების გეგმა

უახლოესი პერიოდის ამოცანას შეადგენს ადგილობრივი ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება. შესამუშავებელია ის უნიკალური გასაყიდი შეთავაზება, რომელიც მხარდაჭერილი იქნება დესტინაციის ხელშემწყობი და დამხმარე პროდუქტების სხვადასხვა კომბინირებით, რაც მორგებული იქნება სხვადასხვა სეგმენტის მომხმარებელთა გემოვნებასა და უპირატესობებზე. დესტინაციის მარკეტინგის მეშვეობით ნათლად უნდა იქნეს წარმოდგენილი თუ რა განსხვავებული ღირებულების შეთავაზებას გეგმავს თერჯოლის მუნიციპალიტეტი სამომავლოდ ტურიზმის სფეროში.

აქტივობა	ვადები	შენიშვნა
კონკურენტუნარიანი ტურისტული რესურსის იდენტიფიცირება	2017	
ტურისტულ ინფრასტრუქტურის მოწყობა	2018-20	
მარკეტინგის სტრატეგიის ჩამოყალიბება	2018	ახალი პროდუქტების განვითარება, კომუნიკაცია და დისტრიბუცია
ტურისტული მომსახურების მიწოდების დივერსიფიცირება და მოცულობების გაზრდა	2020	